გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 13

2024 წლის 12 იანვარი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტში 2024 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 06 ივნისის N249 დადგენილების „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" მიხედვით, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის დაფინანსებით გორის მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ, 1. სოფელ მეჯვრისხევში სკოლასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; 2. სოფელ მერეთის სასაფლაოს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან, გორის მუნიციპალიტეტში 2024 წელს დასაფინანსებელი პროექტები, თანდართული დანართი N1 (1 ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ს.ჯორბენაძის ქ. #30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტი

დანართი N 1

საპროექტო წინადადება

N	საპროექტო წინადადების დასახელება	შენიშვნა
	2	3
1	სოფელ მეჯვრისხევში სკოლასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	
2	სოფელ მერეთის სასაფლაოს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	

გორის მუნიციპალიტეტის მერი

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

საქართველო, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GEORGIA, GORI MUNICIPALITY CITY HALL
218086087